08/08/2024

MES 6 24 0000955097

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 26 ივლისს 14:00 ს აათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Jul 26, 2024 02:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/86990359465?pwd=cb1DVoV29fE1C4dPg8irwGkq97rsRt.1
Meeting ID: 869 9035 9465
Passcode: 968289

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
თეაგულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);

მარიკაზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დაწესებულების წარმომადგენელი:

ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა
გიორგი მაღლაკელიძე - დირექტორი
ნინო ხაჩიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ზაზა ამირეჯიბი - საერთაშორისო სასერტიფიკატო პროგრამების მენეჯერი
ლაშა გოლეთიანი - მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების მენეჯერი

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თეა ოსეფაშვილი - პროფესიული განათლების ცენტრის დირექტორი
თათია კერესელიძე - პროფესიული განათლების ცენტრის ასისტენტი
ქეთევან ველიაშვილი - „გერიატრიული ასისტენტის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
მაკა გაბიძაშვილი - „გერიატრიული ასისტენტის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
ნინო შვანგირაძე - „გერიატრიული ასისტენტის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
თეა გურული - „გერიატრიული ასისტენტის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
ოლანი გოცირიძე - „მევენახეობის სპეციალისტის“ და „მეღვინე ტექნიკოსის“ პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
მაია მირველაშვილი - „მევენახეობის სპეციალისტის“ და „მეღვინე ტექნიკოსის“ პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
ვაჟა ოზაშვილი - „მევენახეობის სპეციალისტის“ და „მეღვინე ტექნიკოსის“ პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
ზაალ ამირიძე - „მევენახეობის სპეციალისტის“ და „მეღვინე ტექნიკოსის“ პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

სოფიო სუხიშვილი - დირექტორი
ნინო დვალი - ხარისხის მენეჯერი

ივანე ბალახაშვილი - იურისტი
ნინო ჩობანიანი - „კალმახის მოშენების სპეციალისტის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
მანუჩარ ცეცხლაძე - „კალმახის მოშენების სპეციალისტის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
დიმიტრი კურტანიძე - „კალმახის მოშენების სპეციალისტის“ პროფესიული მომზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული მეწარმე სუბიექტის შპს ბიო მარის წარმომადგენელი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:

თეონა თაბორიძე
თათია გივიშვილი
თამარ ახალაძე
თეა მახათელაშვილი
ელდარ კაშია

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „საველე ბანაკის მოწყობა“ /01950/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „გერიატრიული ასისტენტი“ /01990/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მევენახეობის სპეციალისტი“ /01991/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მეღვინე-ტექნიკოსი“ /01992/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის „კალმახის მოშენების სპეციალისტი“ /01969/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს სხდომა გაიმართა დღის წესრიგის მიხედვით.

1. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „საველე ბანაკის მოწყობა“ /01950/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა, თეონა თაბორიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 30 მაისის №595654 და 2024 წლის 11 ივნისის №650975 ბრძანებების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, თეონა თაბორიძემ განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ადმინისტრაციული შენობის მისამართზე, ქ.თბილისში აღმაშენებლის გამზირი №38-ში.
ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „საველე ბანაკის მოწყობა“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაციები 1.4, 1.6 და 1.7 ქვესტანდარტებთან მიმართებით
ქვესტანდარტში 1.4 - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება
იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში

სკოლის წარმომადგენელმა ვიზიტის დროს აღნიშნა, რომ აპლიკანტთა გასაუბრების დროს უპირატესობა მიენიჭება სკოლის მე-10, 11-ე და 12-ე კლასის მოსწავლეებს, რომლებსაც სურთ პირველადი ნაბიჯები გადადგან ტურიზმის მიმართულებით, ასევე, აღნიშნა, რომ მსმენელები პროგრამის სწავლებისას თავად
უზრუნველყოფენ ტრანსპორტირებას, ამიტომ მიზანშეწონილია, აღნიშნული ინფორმაციები გათვალისწინებული იყოს პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტში და პროგრამაზე მიღების
გამოცხადების დროს ინფორმირებული იყოს აპლიკანტი.

ქვესტანდარტში 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

პროფესიული მომზადების პროგრამა „საველე ბანაკის მოწყობა“ ითვალისწინებს საველე მუშაობას, ბანაკის მოწყობას საფეხმავლო-სათავგადასავლო ტურის მონაწილეებისთვის, შესაბამისად მსგავსი აქტივობები თავის მხრივ შეიცავს ისეთ რისკებს როგორიცაა სხეულის დაზიანება, ფეხის კუნთების დაჭიმვა და ასე შემდეგ, ამიტომ ამ პროგრამის მსმენელს და შემგომ უკვე საველე ბანაკის მომწყობტუროპერატორის ასისტენს აუცილებლად სჭირდება ფლობდეს პირველადი გადადუდებელი დახმარების საბაზისო უნარებს, რათა ბუნებაში, კრიტიკული სიტუაციის დადგომისას ჰოსპიტალიზაციამდე შეძლოს ადამიანის დახმარება. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგებს დაემატოს სწავლის შედეგი: „პირველადი გადაუდებელი დახმარება“.
აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევით მსმენელი მიიღეებს სათავგადასავლო ტურიზმისთვის აუცილებელ ისეთ კომპეტენციებს, რომლებიც მათ მისცემს შესაძლებლობას ადრეული ასაკიდან დასაქმდნენ სათავგადასავლო ტურიზმის სხვადასხვა დარგის გამყოლების ასისტენტებად.

ქვესტანდარტში 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

რადგან 1.6. ქვესტანდარტთან მიმართებაში გაიცა რეკომენდაცია პროგრამაზე ერთი სწავლის შედეგის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ დამატების შესახებ, შესაბამისად მიზანშეწონილია გაიზარდოს
საათების რაოდენობა და განისაზღვროს 80 საათით.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-3; პროგრამის ხანგრძლივობა - 2 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა - 24; პროგრამის განხორციელების ადგილი - ჭიათურის მუნიციპალიტეტის, სოფ. წირქვალი და მისი მიმდებარე ტერიტორია.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლამ პროფესიული მომზადების პროგრამის განაცხადთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტი „პროფესიული მომზადების პროგრამის საველე ბანაკის მოწყობა დასაბუთება“, რომელშიც მოყვანილია სხვადასხვა უწყებების მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშები.
საქართველოში, ლაშქრობა ანუ საფეხმავლო ტურები, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი სპორტის სახეობაა. საფეხმავლო ტურები ხორციელდება ნახევრადუდაბნო, ტყიან, ალპურ და სუბალპურ ზონებში.
ტურისტების ამ სეგმენტის მხრიდან, გამოიკვეთა დაკვეთა საველე პირობებში მაღალი ხარისხის მომსახურების მიღებაზე. შესაბამისად, საქართველოს სათვგადასავლო ტურიზმის ოპერატორებს გაუჩნდათ მოთხოვნა ისეთ კადრებზე, რომლებიც ეფექტიანად და ხარისხიანად უზრუნველყოფენ სხვადასხვა სახის სათავგადასავლო ტურების საველე ბანაკების მოწყობას და მართვას.

ტუროპერატორების ინტერესია ამგვარი ფუნქციის შემსრულებელი იყოს ადგილობრივი კადრი, რაც განპირობებულია როგორც ეკონომიკური, ისე მათი მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტებით.

შრომით ბაზარზე შექმნილმა ვითარებამ და კერძო კომპანიების სურვილმა, გამოწვეულმა, უკვე დასაქმებული კადრების გადამზადების აუცილებლობით, პროგრამის პოპულარობამ, და კურსდამთავრებულთა დასაქმების/თვითდასაქმების პროცენტულმა მაჩვენებელმა (100 %) სკოლა/კოლეჯს მისცა საფუძველი შეექმნა პროფესიული მომზადების ახალი პროგრამა „საველე ბანაკის მოწყობა“.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. სხვა მოთხოვნები: აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 100).

როგორც აღინიშნა, ამ ქვესტანდარტთან მიმართებაში გაიცა რეკომენდაცია. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტში, პროგრამის ხანგრძლივობად განსაზღვრულია 2 კვირა, რომელიც მოიცავს 72 საათს, ხოლო კვირეული საათობრივი დატვირთვა 36 საათი. პროგრამაში გათვალისწინებული, როგორც პრაქტიკული კომპონენტი ასევე, თეორიული ნაწილი, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სრულად განხორციელდება c - სასწავლო გარემოში, კერძოდ, ჭიათურის რაიონში, სოფელ წირქვალის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ექსპერტისა და მსმენელების თანაფარდობა უნდა იყოს 1/6.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლების ფორმას. პროფესიული მომზადების პროგრამა თავის სპეციფიკიდან გამომდინარე სრულად განხორციელდება c - სასწავლო გარემოში, კერძოდ, ჭიათურის რაიონში, სოფელ წირქვალის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

პროფესიული მომზადების პროგრამა შექმნილია საბაზო განათლების მქონე იმ პირებისთვის, ვისაც აქვს სურვილი ჩაერთოს სათავგადასავლო ტურიზმის აქტივობებში.

პროგრამის ფარგლებში მსმენელები შეიძენენ სათავგადასავლო ტურიზმისთვის აუცილებელ საბაზო უნარ-ჩვევებს.

კურსდამთავრებულები შეიძენენ სათავგადასავლო ტურიზმისთვის აუცილებელ ისეთ კომპეტენციებს, რომლებიც მათ მისცემს შესაძლებლობას ადრეული ასაკიდან დასაქმდნენ სათავგადასავლო ტურიზმის სხვადასხვა დარგის გამყოლების ასისტენტებად. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას. დაწესებულება იყენებს პროფესიული მომზადების პროგრამებსა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებისას განმავითარებელ და განსაზღვრელი შეფასებას.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. პროფესიული მომზადების პროგრამის - ,,საველე ბანაკის მოწყობა'' განხორციელებაში ჩართული იქნება 7 განმახორციელებელი პირი, რომლებიც არიან საფეხმავლო, ველოტურის და საცხენოსნო ტურების სერტიფიცირებული გამყოლები და გავლილი აქვთ სწავლება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიმართულებით.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულებამ განაცხადის მიხედვით პროფესიული მომზადების პროგრამაზე მოითხოვა 24 მსმენელი, პროგრამა თავის სპეცეფიკიდან გამომდინარე სრულად ხორციელდება C-საწავლო გარემოში, კერძოდ, ჭიათურის რაიონის სოფელ, წირქვალში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. პროგრამის

სწავლებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი სკოლის ბალანსზეა და პროგრამის განხორციელებისას გამოიყენებენ მსმენელები.
მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
პროგრამის სწავლებისთვის პროგრამის დოკუმენტით განსაზღვრულია 4 სასწავლო ლიტერატურა, ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა მომზადებული რიდერები. პროგრამისთვის საჭირო სასწავლო ლიტერატურა არის ქართულ ენაზე, ასევე არის ელექტრონული ვერსიებიც, რომლებიც ხელმოსაწვდომია მსმენელებისთვის. პროგრამით განსაზღვრული სასწავლო რესურსი ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, პროგრამის ადმინისტრირებას, შესააბამისობაშია.
პრეზენტაციის ბოლოს დარგის ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო გარემოს ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა „პირველადი გადაუდებლი დახმარების“ სწავლის შედეგის დამატებას, რომელიც ბმაშია სწავლების მოცულობასთან და ხანგრძლივობასთან, ასევე დაინტერესდა, მსმენელების ეკიპირებასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგინა დარგის ექსპერტმა, ეკიპირებას უზრუნველყოფდა დაწესებულება, თუ როგორც სხვა პროგრამების შემთხვევაში უნდა შეეძინა მსმენელს.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს დროის დათმობისთვის და დასძინა, რომ სხვა პროგრამების შემთხვევაში ეკიპირება ძვირადღირებული იყო და შესაბამისად კოლეჯს არ ჰქონდა მისი შეძენის საშუალება, ხოლო რაც შეეხება აღნიშნულ პროგრამას, ეს ეკიპირება შეძენილი აქვს დაწესებულებას, რაც არა აქვთ შესაძენი მსმენელებს.
რაც შეეხება სწავლის შედეგის დამატებას, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თავდაპირველად აპირებდნენ ამ შედეგის დამატებას, თუმცა წინაპირობის მიხედვით წარმოდგენილ პროგრამაში სკოლის მოსწავლეებსაც შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ აღნიშნულ პროგრამაზე, ვინაიდან ისინი არასრულწლოვანები არიან, მათზე გაიცემოდა თუ არა პირველადი გადაუდებელი დახმარების სერტიფიკატი, თუმცა დაწესებულებამ გაარკვია, რომ ეს შესაძლებელია, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეიტანენ პროგრამაში შესაბამის ცვლილებებს.
შემდეგ მან ისაუბრა რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პროგრამის დაშვების წინაპირობას, დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება საბაზო განათლება არ განესაზღვრათ წინაპირობად, რაც შეზღუდავდა მოსწავლეების დაშვებას აღნიშნულ პროგრამაზე.
ამასთან დაკავშირებით ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო წინაპირობაში საბაზო განათლების განსაზღვრა, თუმცა დაემატებოდა ჩანაწერი, რომ უპირატესობა მიენიჭებოდა სკოლის მოსწავლეებს.
ბოლოს დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს აუცილებლად გაითვალისწინებდნენ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, რომ მართალია, დასკვნაში არ არის მითითებული ხარვეზები, გაწერილია მხოლოდ რეკომენდაციები, საბჭო მაინც მართებულად თვლის, წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში დაწესებულებას განესაზღვროს ვადა გაცემული რეკომენდაციების გასათვალისწინებლად და პროგრამის სრულყოფისთვის, რაც ნიშნავს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის მიცემას.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „საველე ბანაკის მოწყობა“ /01950 პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 429322985) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - საველე ბანაკის მოწყობა /01950/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „გერიატრიული ასისტენტი“ /01990/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თათია გივიშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 11 ივნისის №645589 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, თათია გივიშვილმა განახორციელეს ვიზიტი შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესიულ განათლების ცენტრში, მისამართზე: ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. №73.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „გერიატრიული ასისტენტი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-3; პროგრამის ხანგრძლივობა - 8 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა - 15; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. №73.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრმა, პროფესიული მომზადების პროგრამის განაცხადთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტი „პროგრამის „გერიატრიული ასისტენტის“ შემუშავების საჭიროების დასაბუთება“, დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობით, დარგის ექსპერტებთან, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან კონსულტაციებით. დოკუმენტი განხილული და მოწონებულია სამინისტროს საექთნო საქმის ეროვნული საბჭოს მიერ. დოკუმენტში წარმოდგენილია სხვადასხვა უწყებების კვლევების ანალიზები. დოკუმენტის მიხედვით, ყოველწლიურად მზარდი მედიცინის სფეროდან მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯანდაცვა ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. სფეროს განვითარებისათვის, მასშტაბების და შემოსავლების ზრდისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების ხარისხის მომსახურების/განათლების შეთავაზება მომხმარებლებისთვის, რისთვისაც საჭიროა ამ სფეროში მომუშავე პერსონალის მომზადება/გადამზადება. გერიატრიულ პაციენტებს ძირითადად ემსახურებიან „არაფორმალური მომვლელები“, არ არსებობს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა და მომსახურების სტანდარტი, შესაბამისად მათი უფლება, მიიღონ მაღალი ხარისხის სამედიცინო და სხვა სახის მომსახურება, დაუცველია.

სწორედ ამან გამოიწვია გადამზადებული პერსონალის აუცილებლობა, რომლებსაც შეუძლიათ პროფესიონალური დახმარება გაუწიონ სხვადასხვა საჭიროების მქონე ხანდაზმულებს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა გერიატრიული ასისტენტის კურსების იმპლემენტაცია სასწავლო პროცესებში, რაც დაფუძნებულია ახალი პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენასთან. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, გერიატრიული ასისტენტის პროგრამა არის ღირებული რესურსი იმ მსმენელებისთვის, რომელთაც სურთ ჩაერთონ სამედიცინო სფეროში. გერიატრიული მოვლა არის მზარდი და დიდი შესაძლებლობების მქონე სფერო, რაც საშუალებას მისცემს სერტიფიცირებულ ასისტენტს დასაქმდეს ძალიან ბევრი მიმართულებით. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სერტიფიცირებული კურსდამთავრებული შეიძენს ფინანსურ სტაბილურობას, რაც განპირებებულია ბაზარზე ამ სპეციალობის მქონე პირების დეფიციტით. დოკუმენტში მოცემული კვლევებისგან მიღებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ დღეს საქართველოში გერიატრიული ასისტენტი ერთ-ერთი დეფიციტური სპეციალობაა და რადგან ამ მიმართულებით ფორმალური განათლების მიღება კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება, უნივერსტიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა ,,გერიატრიული ასისტენტი“, რომლის მიზანია ხანდაზმულ მოსახლეობაზე მზრუნველობის გაუმჯობესება და მათთვის „ბოლომდე ღირსეული სიცოცხლის“ შესაძლებლობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია - სრული ზოგადი განათლება, ასაკი - 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება. წარმოდგენილი პროგრამის სწავლის

შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 8 კვირა, პროგრამის საათების რაოდენობა შეადგენს 144 საათს.
პრაქტიკული სწავლება მოიცავს მეცადინეობას - უნივერსიტეტის A გარემოში და C სიმულაციურ გარემოში, მინიმუმ 5 მსმენელი ჯგუფში, პარალელურად 3 ჯგუფში ან თანმიმდევრობით. პროგრამის განხორციელების დროს გათვალისწინებულია ვიზიტი რეალურ გარემოში-კომპანია შპს „ფრენდლი ქომიუნითის“ მოხუცთა თავშესაფარში. სწავლების პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდები.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი. პროგრამა განხორციელდება უნივერსიტეტის AC სასწავლო გარემოში, რომელიც აღჭურვილია პროგრამისთვის საჭირო ყველა მატერიალური რესურსით. კურსის დასრულების შემდგომ პირი შეიძლება დასაქმდეს მომვლელად ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურეობის დაწესებულებაში (მოხუცთა თავშესაფარი, სათემო ან საოჯახო ტიპის მომსახურება, დღის ცენტრი).
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით „პროფესიული მომზადების პროგრამებსა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა შეფასების წესი“, რომელიც არეგულირებს პროფესიული მომზადების პროგრამებსა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა შეფასების პირობებს.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით.
პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 6 პირი, მოხდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადებითად შეფასდა მათი ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია.
პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 15 მსმენელის მიღება.
პროფესიული პროგრამის „გერიატრიული ასისტენტი“ სწავლება განხორციელდება ქ. თბილისში, ჩარგლის ქ. 73-ში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, სადაც პროგრამისთვის გამოყოფილია ორი A სასწავლო გარემო, პირველ კორპუსში, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია სწავლების აუცილებელი მატერიალური რესურსით, საჭიროების შემთხვევაში, დემონსტრირების საშუალებით, ხოლო, პრაქტიკული სწავლება ჩატარდება უნივერსტიტეტის სიმულაციურ გარემოში, C - სასწავლო გარემოში.
ვიზიტის დროს მოხდა C სასწავლო გარემოს და მასში განთავსებული საჭირო მატერიალური რესურსის დათვალიერება.

რაც შეეხება სასწავლო რესურსს, აღინიშნა, რომ სახელმძღვანელოები მატერიალურად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ასევე, არის წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ელექტრონული სახით, რომელიც ჩატვირთულია პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრულ ორივე A სასწავლო გარემოში განთავსებულ კომპიუტერებში.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დგინდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
მესამე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის ადმინისტრირება შესაბამისობაშია, იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან.

მნიშვნელოვანია, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მულტიმედია ცენტრი, რომელიც ამზადებს პუბლიკაციებს, ფოტომასალებს, სატელევიზიო და რადიო - სიუჟეტებს, გადაცემებს, ფილმებს, კომერციულ და სარეკლამო კლიპებს, რომელსაც შესაბამისად იყენებს უნივერსიტეტის და/ან სხვადასხვა ჟურნალებსა და გაზეთებში, ინტერნეტმედიაში, რადიოკომპანიათა ეთერში, უნივერსიტეტის ვებგვერდის, ტელეარხების ეთერში და საუნივერსიტეტო და სხვა ტიპის გამოფენებში განთავსების მიზნით.

საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის უნივერსიტეტი იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს.

,,პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის შერჩევის, ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მართვის წესი“, მე-11 მუხლში, განსაზღვრულია სერტიფიკატის გაცემის პროცედურები.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ფოტომასალის მიხედვით თუ იმსჯელებდნენ, შთამბეჭდავი სასწავლო გარემოების ფოტოები იქნა წარმოდგენილი და დასძინა, რომ მას არ ჰქონდა კითხვები აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით.

მან მიმართა დაწესებულებას კომენტარი გაეკეთებინა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტისთვის მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელების სურვილი პირველი მცდელობაა, საბჭოს წარმატებები უსურვა და მადლობა გადაუხადა დამსწრეებს.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „გერიატრიული ასისტენტი“ /01990/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს (ს/კ: 201951637) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - გერიატრიული ასისტენტი /01990/ **(დანართი 1)**.

დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მევენახეობის სპეციალისტის“ საკითხის განხილვა გადაეტანათ ბოლო საკითხად, ტექნიკური ხარვეზის გამო, საბჭომ გაითვალისწინა შუამდგომლობა და აღნიშნული საკითხი გადატანილ იქნა მეხუთე საკითხად.

3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მეღვინე-ტექნიკოსი“ /01992/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თეა მახათელაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 11 ივნისის №645595 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, თეა მახათელაშვილმა განახორციელეს ვიზიტი შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესიულ განათლების ცენტრში, მისამართზე: ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. №73, სადაც არის ადმინისტრაციული შენობა და ურეკის ქ. №2-ში (უნივერსიტეტის მე-2 კორპუსი.), სადაც განხორციელდება პროგრამის სწავლება. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „მეღვინე - ტექნიკოსი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-4; პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა - 10; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. №73 და ურეკის ქ.№2; კასპის რაიონი, სოფელი აღაიანი.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ყოველწლიურად საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის სფეროდან მიღებული შემოსავლები, თამამად შეიძლება ითქვას, ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. სფეროს განვითარებისათვის, მასშტაბების და შემოსავლების ზრდისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების ხარისხის და ქართული ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის და მასთან დაკავშირებული განათლების/წარმოების/მომსახურების საუკეთესო გაერთიანების შეთავაზება მომხამრებლებისათვის, რისთვისაც საჭიროა ამ სფეროში ამჟამად მომუშავე პერსონალის მომზადება და/ან გადამზადება.

მეღვინეობის სფეროს განვითარებაში და კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტის აღმოფხვრის საქმეში თავისი წვლილის შეტანისათვის მოღვაწეობს კავკასიის საერთაშორისო უნივერსტიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტი და მისი საკუთრების ქვეშ მყოფი კომპანიები: „შპს „ჩიგო“ , შპს „ახალშენი“, შპს „ეთნო ოკამი“.

კავკასიის უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრმა გადაწყვიტა შეემუშავებინა მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამა, „მეღვინე-ტექნიკოსი“, რომლის მიზანია მეღვინეობის სფეროში, საწარმოში მომუშავე კვალიფიციური ტექნიკოსის გადამზადება და კვალიფიციური კადრების მოწოდება შრომის ბაზრისთვის. ამ კონკრეტულ მიმართულებაში კონკურენტუნარიანობის გაზრდა მაღალხარისხიანი პროდუქციის მიღებისათვის.

საქართველოში საფუძველი ეყრება ქართული ღვინოების მწარმოებელთა ისეთ ფენას, რომელთაც აქვთ მცირე სიმძლავრის, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე ღვინის ქარხნები, სწორედ ამ საწარმოებისთვის, არა მარტო შიდა ქართლში, არამედ სხვა რეგიონებშიც, და ამ კომპანიებთან დაკავშირებული მეღვინეებისთვის არის შექმნილი ეს პროგრამა.

პროფესიული გადამზადების პროგრამის პროფესიული ცოდნის მქონე მუშაკების დეფიციტური ადამიანური რესურსის შესავსებად ბაზარზე კვალიფიცირებული მუშაკის არსებობა კიდევ უფრო წარმატებულს გახდის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას მეღვინეობის ამ მიმართულებით და გაზრდის ჯანსაღ კონკურენციას ბაზარზე.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, ასაკი - 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა გასაუბრება. სამუშაო გამოცდილება/პრაქტიკული გამოცდილება - სასურსათო პროდუქტების, სასმელების წარმოების, მეღვინეობის, მევენახეობის სფეროში - 1 წლიანი გამოცდილება ან/და უმაღლესი ან პროფესიული განათლება მევენახეობა-მეღვინეობის ან სასმელების წარმოების სპეციალობაზე - 1 წელი.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროფესიული გადამზადების პროგრამა „მეღვინე -ტექნიკოსი“ განხორციელდება 10 კვირის განმავლობაში, კვირეული საშუალო საათობრივი დატვირთვა - 14 სთ (სულ 146 სთ). პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას, რომელიც განხორციელდება ურეკის ქ. №2-ში მდებარე, უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში არსებულ A და C სასწავლო გერემოში, ლაბორტორიასა და პრაქტიკის ბაზებზე. პრაქტიკული მეცადინეობა 5-5 კაციან ჯგუფებში პარალელურად ან თანამიმდევრობით ჩატარდება.

სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები.

პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი. პროგრამა განხორციელდება უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის კათედრის ლოკაციაზე, მისამართზე ურეკის ქ. №2. კსუ-ს მე-2 კორპუსი, AC სასწავლო გარემოში, სადაც განთავსებულია აღნიშნული პროგრამისთვის საჭირო ყველა საჩვენებელ-საილუსტრაციო გარემო/-აუდიტორია, ღვინის მარანი, მიკროვინიფიკაციის კვლევითი ლაბორატორია, ენოქიმიის, მევენახეობისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია უახლესი სასწავლო-კვლევითი აპარატურითა და დანადგარებით.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი სადეგუსტაციო კაბინეტი, სადაც მსმენელებს ეძლევათ სხვადასხვა ღვინის ორგანოლეპტიკური შეფასების, ღვინის ხარისხის, ასევე ზადისა და დაავადებების ამოცნობაში დახელოვნების შესაძლებლობა.

სწავლების პერიოდში მსმენელები შეძლებენ თავად დაამზადონ და გამოიკვლიონ ღვინის ფიზიკურ-ქიმიური და მიკრობიოლოგიური მახასიათებლები, თავისი კომპეტენციების ფარგლებში.

პროგრამის განხორციელება დაკავშირებულია ტექნოლოგიური ციკლის მიმდინარეობასთან, წელიწადის დროებთან მიმართებაში. შესაძლებელია საწყობ-მაცივარში შენახული ყურძნის გამოყენება შესაბამისი სწავლის შედეგების მისაღწევად. იგივე პროცესების ნახვა-განხორციელება-მონაწილეობა რეალურ პრაქტიკულ სამუშაო გარემოში პროგრამის მსმენელებს შეუძლიათ სოფელ აღაიანში უნივერსიტეტის კუთვნილ მეღვინეობა-მევენახეობის ბაზაზე - ,,მეღვინეობა ეთნო-ოკამი".
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. იურიდიულ პირს პროფესიული გადამზადების პროგრამის „მეღვინე -ტექნიკოსი" განმახორციელებლად განსაზღვრული ჰყავს 6 პირი. პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუირებით დგინდება, რომ პროგრამაში ჩართული ყველა განმახორციელებელი არის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული გამოცდილება დარგში და სწავლა-სწავლების განხორციელების შესაძლებლობა - თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სტანდარტების შესაბამისად.
პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლება პროგრამისთვის გამოყოფილ A და C სასწავლო გარემოში, სადაც განთავსებულია აღნიშნული პროგრამის სწავლებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი.
რაც შეეხება სასწავლო რესურსს, აღინიშნა, რომ კომპიუტერში ჩატვირთულია სასწავლო ლიტერატურის ელექტრონული ვერსიები, უნივერსიტეტს აქვს საბიბლიოთეკო ციფრული სისტემა, რომლითაც სარგებლობა შესაძლებელია როგორც ადგილზე, ისე სახლიდან დისტანციურად. მსმენელთათვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო რესურსების ამობეჭდვა და/ან ქსეროასლების მომზადება.
ვინაიდან აღნიშნული პროგრამაც წარმოდგენილია შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ, მესამე სტანდარტის ქვესტანდარტები შეფასდა ანალოგიურად.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილ იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საკითხის წარდგენის შემდეგ დაწესებულების წამომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს თბილისში პრაქტიკის ობიექტი, სადაც შესაძლებელია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, თუმცა ს. აღაიანში არსებული ბაზა/პრაქტიკის ობიექტი გათვალისწინებულია იმ შემთხვევებისთვის, თუ აღნიშნულ პროგრამაზე დარეგისტრირდნენ აპლიკანტები აღაიანის მიმდებარე რაიონებიდან, შესაბამისად თეორიული კომპონენტი განხორციელდება ქ. თბილისში, უნივერსიტეტში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი ს. აღაიანში, თუმცა შესაძლებელია იყოს ასევე შერეული ჯგუფებიც, ამის გამოცდილება აქვს უნივერსიტეტს და ასევე ტრანსპორტირების საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიურ პროგრამებს მეღვინეობა-მევენახეობაშიც, რაც შეეხება მოკლევადიან პროგრამებს, უფლების მოპოვების შემთხვევაში, უნივერსიტეტს სამივე საფეხურის პროგრამები ექნება, რაც დაწესებულების აზრით ძალიან მნიშვნელოვანია.
საბჭოს თავმჯდომარემ წარმატება უსურვა დაწესებულებას და დასძინა, რომ დაწესებულებას გონივრულად განესაზღვრა სამივე საფხურისთვის მეცადინეობების გრაფიკი, რაც უზრუნველყოფდა შეუფერხებლად სამივე საფეხურის პროგრამების განხორციელებას.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მეღვინე-ტექნიკოსი" /01992/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს (ს/კ: 201951637) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მეღვინე-ტექნიკოსი /01992/ **(დანართი 2)**.

4. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის „კალმახის მოშენების სპეციალისტი“ /01969/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 13 ივნისის №660666 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ელდარ კაშიამ შეისწავლეს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის პროფესიული მომზადების პროგრამის „კალმახის მოშენების სპეციალისტი“ (ID 01969) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2024 წლის 25 ივნისს განახორციელეს ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში, მისამართზე ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი №9.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი 1.7 ქვესტანდარტთან მიმართებაში, გაიცა რეკომენდაცია 1.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში
ხარვეზი
ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/ მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით და პროგრამის შეფასებისას დადგინდა, რომ აღნიშნული პროგრამის მეტი წილი (80 საათი) ეთმობა თეორიული კომპონენტის სწავლებას, ხოლო პრაქტიკულ კომპონენტს, როგორც აღინიშნა, 40 საათი ეთმობა, თუმცა ამ საათების რაოდენობიდან მინიმუმ 10 საათი უნდა დაეთმოს პრაქტიკული ნაწილის სამი შედეგის განმსაზღვრელ შეფასებას, ხოლო დარჩენილი საათები (30 საათი) არ არის საკმარისი სწავლის შედეგების მისაღწევად, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების შეძენის და განვითარებისკენ. შესაბამისად ქვესტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს

რეკომენდებულია პროგრამის მიზნებიდან და თემატიკიდან გამომდინარე წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება „კალმახის მოშენების სპეციალისტი“ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით - კალმახის მომშენებელი.

ცენტრის წარმომადგენელმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 15 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი №9.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შიდა ქართლის რეგიონში, სოფლებში მრავლადაა თევზის მეურნეობები. მოშენებულია ძირითადად კალმახის და ზუთხის ჯიშები. სეზონურად იწარმოება კალმახის ხიზილალა. კერძოდ, საქართველოს ბანკის ჩართულობით 2020 წელს გორში ერთ-ერთი საკალმახე მეურნეობა გაფართოვდა. ბანკის ინვესტიცია, რომელიც 70,000 ლარს შეადგენს, საკალმახე ავზების მოწყობას, გაფართოვებასა და საჭირო ინვენტარის შეძენას მოხმარდა. საკალმახე მეურნეობამ საქმიანობა 2019 წლის სექტემბერში დაიწყო და უკვე მნიშვნელოვნად გაზარდა ბიზნესი. წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას თბილისის საცალო მაღაზიებსა და ნიკორაში ახდენს.

სოფლის მეურნეობა რეგიონის პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელიც თავის მხრივ სხვადასხვა დარგს მოიცავს და მათ შორის არის მეთევზეობა. ამ კუთხით კი გორი და ზოგადად, შიდა ქართლი ერთ-ერთი მოწინავეა ქვეყნის მასშტაბით. რეგიონში არაერთი საკალმახე და სატბორე მეურნეობაა, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ თავის საქმიანობას. აღინიშნა, რომ სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს ფერმერების განვითარებასა და ხელშეწყობაზე, და ეს პროცესი, რა თქმა უნდა შეუქცევადია. ყოველი წარმატებული მეურნეობა ნიშნავს მეტ დასაქმებულ ადამიანს და ადგილობრივი ეკონომიკის ხელშეწყობას. სამხარეო ადმინისტრაცია კი თავის კომპეტენციის ფარგლებში მუდამ მზადაა თანამშრომლობისთვის. მოცემული ინფორმაციის გაანალიზებით, შესაძლებელია ითქვას, რომ ქვეყნისთვის, კერძოდ შიდა ქართლის რეგიონისთვის, პრიორიტეტულია მეთევზეობა და კომპეტენტური კადრის საჭიროება მუდმივად აქტუალურია.

წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდება - „კალმახის მოშენების სპეციალისტი“ ბმაშია პროგრამის შინაარსთან. თუმცა დარგის ექსპერტის აზრით, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით გაიცა რეკომენდაცია სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით, რაც ზემოთ აღინიშნა.

პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება; ასაკი - 18 წელი. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

პროგრამის სწავლის შედეგები(წარმოდგენილია 6 სწავლის შედეგი) აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა 15 კვირაა, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა - 8 საათი, სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასება დაგეგმილია

ყოველი სწავლის შედეგის დასრულების შემდეგ, ხოლო განმავითარებელი შეფასება განხორციელდება ყოველკვირეულად. თეორიული სწავლება (80 საათი) განხორციელდება დაწესებულების სასწავლო გარემოში პირველ-მეათე კვირას, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი, როემლსაც ეთმობა მეთერთმეტე-მეთხუთმეტე კვირა (40 საათი) რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკის ობიექტებზე, შპს დგვრისში, შესაბამისად ქვესტანდარტი დარღვეულია.
სწავლების მეთოდები მრავალფეროვანია და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილია 15 მსმენელი, A სასწავლო გარემო - პროგრამისთვის მოწყობილია ერთი აუდიტორია 15 მსმენელზე, რომელსაც კოლეჯი არ გამოიყენებს სხვა პროგრამის განხორციელებისთვის. აუდიტორიაში მოწყობილია სამუშაო სივრცე (მაგიდა /სკამი), განთავსებულია დემონსტრირების ციფრული საშუალება, დაფა, კომპიუტერი პროგრამის განმახორციელებელი პირისთვის, სასწავლო პლაკატები და სხვა; პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსი და მასალა ნედლეული ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფილია პრაქტიკის ობიექტზე, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება. C სასწავლო გარემო - პრაქტიკის ობიექტის გარემო იძლევა შესაძლებლობას უზრუნველყოფილი იყოს 15 მსმენელის მიღება. პროგრამის ფარგლებში კოლეჯს ჰყავს ორი განმახორციელებელი პირი. მათი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი. დაწესებულებას ატვირთული აქვს ელექტრონულ სისტემაში განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. პროგრამის დოკუმენტის სასწავლო რესურსი, სადაც მითითებულია ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები, ასევე ინტერნეტ რესურსები.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით - შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესაბამისობის შესახებ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან.
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, შესაბამისად აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან.
რაც შეეხება 3.7 ქვესტანდარტს, გამოცდილების არარსებობის გამო ქვესტანდარტი არ ექვემდებარება შეფასებას.
ასევე წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას გამოეთქვა მოსაზრება აღნიშნულ ხარვეზთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით.
დაწესებულების ხარისხის მენეჯერმა განაცხადა, რომ ამ პროგრამის შემუშავების საკითხი გადაწყდა ბიზნეს ფორუმზე, სადაც აღნიშნულ იქნა, რომ რეგიონში არაერთი საკალმახე და სატბორე მეურნეობაა, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ თავის საქმიანობას. აღინიშნა,

რომ სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს ფერმერების განვითარებასა და ხელშეწყობაზე, და ეს პროცესი, რა თქმა უნდა შეუქცევადია. ყოველი წარმატებული მეურნეობა ნიშნავს მეტ დასაქმებულ ადამიანს და ადგილობრივი ეკონომიკის ხელშეწყობას. სამხარეო ადმინისტრაცია კი თავის კომპეტენციის ფარგლებში მუდამ მზადაა თანამშრომლობისთვის.“ მოცემული ინფორმაციის გაანალიზებით, შესაძლებელია ითქვას, რომ ქვეყნისთვის, კერძოდ, შიდა ქართლის რეგიონისთვის პრიორიტეტულია მეთევზეობა და კომპეტენტური კადრის საჭიროება მუდმივად აქტუალურია. სწორედ ეს გახდა საფუძველი წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების. რაც შეეხება რეკომენდაციებს, პროგრამის შემუშავების პროცესში გამოიკვეთა, რომ საკმაოდ ბევრი რეგულაციებია ამ კუთხით, და სამუშაო ჯგუფმა საჭიროდ მიიჩნია მეტი დრო დაეთმოთ თეორიული ნაწილისთვის, თუმცა აუცილებლად იქნება გათვალისწინებული დარგის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომნდაციები, სამუშაო ჯგუფი იმუშავებს ამ ცვლიელებთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა თუ მიეცემა დაწესებულებას ხარვეზის გამოსწორების საშუალება.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის „კალმახის მოშენების სპეციალისტი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგს (ს/კ: 417878130) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - კალმახის მოშენების სპეციალისტი /01969/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

5. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მევენახეობის სპეციალისტი“ /01991/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 11 ივნისის №645596 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, თამარ ახალაძემ განახორციელეს ვიზიტი შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესიულ განათლების ცენტრში, მისამართი: თბილისი, ჩარგლის ქ. №73 -ში, სადაც არის ცენტრის ადმინისტრაციული შენობა და ურეკის ქ.№2 -ში, სადაც არის პროგრამის განხორციელების ადგილი. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „მევენახეობის სპეციალისტი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-3; პროგრამის ხანგრძლივობა - 6 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა - 20; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. №73 და ურეკის ქ.№2.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ მევენახეობა ოდიდგანვე ქართველი ხალხის მატერიალური სიძლიერის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო. ეს დარგი ცნობილი იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასეული წლის წინათ.

ამჟამად მსოფლიოში 4 ათასამდე ვაზის ჯიშია, მათ შორის 500-მდე ქართული. საქართველოს ვაზის სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანილი იყო 41 ჯიში, აქედან 27 ტექნოლოგიური საღვინე ჯიშისა იყო, 14 სუფრისა.

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის სფეროდან მიღებული შემოსავლები, თამამად შეიძლება ითქვას, ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მსოფლიოსა და ჩვენ ქვეყანაში, ბოლო ათწლეულში საკმაოდ პოპულარული გახდა ქართული ღვინო, ქვევრის ღვინო.

ღვინის გაყიდვების მკვეთრი ზრდა ფიქსირდება, როგორც შიდა ბაზარზე, ასევე უცხოური ქვეყნების ბაზარზე.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა გასაუბრება.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროფესიული მომზადების პროგრამის -

„მევენახეობის სპეციალისტი“ 6 სწავლის შედეგის მიღწევა 6 სასწავლო კვირის განმავლობაშია შესაძლებელი. საშუალოდ კვირაში 22 საათი. სულ - 132 სთ.
სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლების ფორმას, უნივერსიტეტს აქვს კომპლექსური მევენახეობა-მეღვინეობის რამდენიმე პრაქტიკის ობიექტი - ქ. თბილისში (მე-2 კორპუსი) და კასპის რაიონში, სოფ. აღაიანში - ვენახი გაშენებული ათეულობით ჰექტარზე; იქვეა მეღვინეობის საწარმო, მარანი და ყველა საჭირო ინფრასტრუქტურა, ისტორიული მუზეუმი.
ეს გარემო წარმოადგენს რეალურ სასწავლო გარემოს, სადაც მსმენელები გაივლიან პროგრამის პრაქტიკულ ნაწილს. ყველა სწავლის შედეგი (გარდა პირველისა) მოიცავს C გარემოში სწავლების საჭიროებას.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. იურიდიულ პირს პროფესიული გადამზადების პროგრამის „მეღვინე -ტექნიკოსი“ განმახორციელებლად განსაზღვრული ჰყავს 5 პირი. პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუირებით დგინდება, რომ პროგრამაში ჩართული ყველა განმახორციელებელი არის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.
პროფესიული პროგრამის „მევენახეობის სპეციალისტი“ სწავლება განხორციელდება უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში, (A გარემო), სადაც განთავსებულია აღნიშნული პროგრამისთვის საჭირო ყველა საჩვენებელ-საილუსტრაციო გარემო/აუდიტორია, ღვინის მარანი, მიკროვინიფიკაციის კვლევითი ლაბორატორია, ენოქიმიის, მევენახეობისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია უახლესი სასწავლოკვლევითი აპარატურითა და დანადგარებით. პროგრამისთვის გამოყოფილია აუდიტორია და C სასწავლო გარემო, (ვენახი, სხვადასხვა ტიპის მარანი თბილისი, ურეკის ქ №2, მეღვინეობის ქარხანა, მისამართი კასპი. სოფ აღაიანი)
კასპის რაიონის სოფელ აღაიანში განთავსებულია 16 ჰა ვენახი, წარმოდგენილია ვაზის სხვადასხვა ჯიშები (შავკაპიტო, საფერავი, ჩინური) აქვეა ტექნიკის პარკი მევენახეობისათვის განკუთვნილი სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო ტექნიკა (ტრაქტორები, კულტივატორები, ლაფეტი, პესტიციდების შესატანი მისაბმელები, ხელის საწამლი აპარატები).
რაც შეეხება სასწავლო რესურსს, აღინიშნა, რომ კომპიუტერში ჩატვირთულია ლიტერატურის ელექტრონული ვერსიები, უნივერსიტეტს აქვს საბიბლიოთეკო ციფრული სისტემა, რომლით სარგებლობაც შესაძლებელი როგორც ადგილზე, ისე სახლიდან დისტანციურად. მსმენელთათვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო რესურსების ამობეჭდვა და/ან ქსეროასლების მომზადება.
ვინაიდან აღნიშნული პროგრამაც წარმოდგენილია შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ, ქვესტანდარტები შეფასდა ანალოგიურად.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა საკმაოდ მნიშვნელოვანი პროგრამები, შთამბეჭდავი იყო წარმოდგენილი სასწავლო გარემოები, განსაკუთრებით C სასწავლო გარემოები, რაც საწინდარია წარმოდგენილი პროგრამების წარმატებით განხორციელებისთვის.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მევენახეობის სპეციალისტი“ /01991/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს (ს/კ: 201951637) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მევენახეობის სპეციალისტი /01991/ **(დანართი 3)**.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 16:25 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

ნ. ბაბალ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01990	გერიატრიული ასისტენტი	მომზადება	მესამე	8	ქართული	15	ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. №73

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01992	მეღვინე-ტექნიკოსი	გადამზადება	მეოთხე	10	ქართული	10	ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. №73, ურეკის ქ. №2

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01991	მევენახეობის სპეციალისტი	მომზადება	მესამე	6	ქართული	20	ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. №73, ურეკის ქ. №2